„საზოგადოება ივერიისა“-ს 2023 წლის ანგარიში

- „საზოგადოება ივერიისა“ მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით დაფუძნდა 2010 წელს. მისი საქმიანობის მიზანი გახლავთ ხელი შეუწყოს ეროვნული ფასეულობების წარმოჩენას, გაცნობიერებასა და საზოგადოებაში მათ კომუნიკაციას.

- „საზოგადოება ივერიისა“-მ საქმიანობა დაიწყო მახათას მთაზე ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე ტაძრის მშენებლობაში საზოგადოების გაერთიანებით. ამ პროექტში მონაწილეობა არის ქართველი ერის მადლიერების გამოხატულება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი, რომელიც არის ქართველთა განმანათლებელი და ქრისტიანული მოძღვრების შემომტანი საქართველოში.

- 2010 წლიდან დღემდე მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის პროექტისთვის შემოწირულობა გაიღო 78,500-მა ადამიანმა.

- 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით შემოწირული თანხის ოდენობამ შეადგინა 827,476 ლარი. აქედან დაახლოებით 10% დაიხარჯა ადმინისტრაციულ ხარჯებსა და საინფორმაციო მხარდაჭერაზე, ძირითადი თანხა კი მშენებლობას, საგანმანათლებლო და საინფორმაციო უზრუნველყოფას მოხმარდა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელონად არის შემცირებული შემოწირული თანხების ოდენობა, თუკი საშუალო თვიური შემოსავლების დინამიკა პირველ წლებში შეადგენდა დაახლოებით 250,000 ლარს, 2023 წელს ეს რიცხვი იყო 60,000 ლარი.

  2023 წელს შემოწირული თანხა მოხმარდა ისეთ საჭიროებებს როგორიცაა: ტაძრის მშენებლობა/კეთილმოწყობისა და ფუნქციონირების მიმდინარე ხარჯები (ტაძრის ეზოს შემოღობვა, ღვთისმსახურებისათვის საჭირო ნივთების დამზადება-შეძენა, კომუნალური ხარჯები, მათ შორის ელექტროენერგიისა და წყლის; დაცვის სამსახურის, ტაძრის პერსონალის ხელფასი). ასევე, საგანმანათლებლო ხარჯებს და სხვ. ინფორმაცია 2023 წლის ხარჯების ძირითადი მუხლების შესახებ თან ერთვის.

- ჩვენს ვებ გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ 2016-2023 წლების აუდირებული ფინანსური უწყისები.

- ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძარი ამოქმედდა 2019 წლის მაისში. თუმცა, დღემდე გრძელდება სამონასტრო კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები. მიმდინარეობს ტაძრის შიდა და გარე პერიმეტრის კეთილმოწყობა.

- ჩვენი პროექტის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე სამეცნიერო კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობას, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო, ეკლესია და საზოგადოება ერთობლივად განახორციელებს. 2019 წლის 8 მაისს საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და „საზოგადოება ივერიისა“-ს მიერ ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად შეიქმნა სამეურვეო საბჭო, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს სახელმწიფოს, ეკლესიისა და საზოგადოების თანამშრომლობის უნიკალურ მოდელს.

- „საზოგადოება ივერიისა“-მ 2019 წლის ივნისში გამოაცხადა საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსი. საკონკურსო კომისიამ, რომელიც დაკომპლექტებული იყო საქართველოს მთავრობის, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისა და „საზოგადოება ივერიისა“-ს წარმომადგენლებისაგან, მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე, გამარჯვება მიანიჭა პორტუგალიელი არქიტექტორის ლუიშ ტავარეს პერეირას („აინდა არქიტექტურა“) მიერ წარმოდგენილ პროექტს. „საზოგადოება ივერიისამ“ სრულად დააფინანსა გამარჯვებული პროექტის კონცეპტუალური დიზაინის შექმნის სამუშაოები. კონკურსის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე www.iveriisa.ge.

მუზეუმი, ექსტერიერის ხედი

- ახალი ცენტრის დაფინანსებისა და მშენებლობის დაწყებამდე, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან შეთანხმებით, „საზოგადოება ივერიისა“ ჩაერთო ეროვნულ მუზეუმში განთავსებული ეროვნული საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის პროცესში.

  „საზოგადოება ივერიისა“-მ დაიწყო საზოგადოების ინფორმირება მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (შეხვედრები საჯარო სივრცეში, ორგანიზაციებთან და ინდივიდუალურ ჯგუფებთან). არსებული სახსრებით ფინანსდება ეროვნული საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი ღონისძიებები.

- „საზოგადოება ივერიისა“ უკვე მრავალი წელია აქტიურად არის ჩართული ფასეულობითი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და მოსახლეობის ფართო წრეებში ამ ცოდნის გავრცელების საქმეში. ეს საქმიანობა ხორციელდება „საზოგადოება ივერიისა“-ს და „ფასეულობათა კვლევის საზოგადოებას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე, ასევე, გადაწყდა „ფასეულობათა კვლევის საზოგადოების“ მიერ შექმნილი ჟურნალის „გული გონიერი“ აღდგენის ფინანსური მხარდაჭერა.

- მზადდება ფასეულობათა სასკოლო და საზოგადოებრივი განათლებისთვის განკუთვნილი ერთობლივი პროგრამები.

- ჩვენი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და მისი გააზრების მნიშვნელობის შესახებ „საზოგადოება ივერიისა”-მ დაიწყო ახალი საზოგადოებრივი კამპანია. “საზოგადოება ივერიისა”-ს დაფინანსებით გამოიცა ორი მნიშვნელოვანი ნაშრომი: „შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური (შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული კოლექციები) და „აფხაზეთი“ (საქართველოს ეროვნული მუზეუმში დაცული ძეგლების მიხედვით).
  წიგნის „შუა საუკუნებიის საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური“ მობილური და ვებ ვერსიები შეგიძლიათ ნახოთ „საზოგადოება ივერიისა”-ს ვებგვერდზე www.iveriisa.ge, ჩამოტვირთოთ და გაეცნოთ.

წიგნი „ შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური“

წიგნი „აფხაზეთი“
საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძური

- „საზოგადოება ივერიისა“ ჩაერთო გელათის რეაბილიტაციის გრძელვადიან პროცესში. 2023 წლის 6 აპრილს საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რითაც საქართველოს საპატრიარქო გახდა ხელმძღვანელი და მმართველი გელათის რეაბილიტაციისა. საქართველოს საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე, სენაკისა და ჩხორუწყუს მიტროპოლიტი შიოს (მუჯირი) მომართვის საფუძველზე, გელათის რეაბილიტაციის გრძელვადიან პროცესში „საზოგადოება ივერიისა“-ს ეთხოვა უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირებულობა და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება.

- საზოგადოება ივერიისა“- ს ფინანსური მხარდაჭერით, შეიქმნა გელათის რეაბილიტაციის ვებგვერდი https://gelatirehabilitation.ge/ka .



გელათის რეაბილიტაციის ვებგვერდი - https://gelatirehabilitation.ge/ka/

- "საზოგადოება ივერიისა", ასევე, აფინანსებს ფრანგი არქიტექტორების მონაწილეობით დაწყებულ გელათის ახალ გენერალურ გეგმას, რომელმაც უნდა ასახოს მისი ძირითადი არსი და წარმოადგინოს მისი ფუნქციური განვითარების მიმართულებები.

- სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლისთავის საიუბილეო თარიღების აღსანიშნად, დაიგეგმა და განხორციელდა ხატის „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს" მოგზაურობა საქართველოს ეპარქიებში.

  საქართველოს საპატრიარქოს მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილებას, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრსა და „საზოგადოება ივერიისა"-ს შორის ხელმოწერილი ურთიერთთანამშრომლობის სამმხრივი მემორანდუმის საფუძველზე, „საზოგადოება ივერიისა"-მ ნაწილობრივ დააფინანსა საქართველოს მუნიციპალიტეტებში „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო"-ს ხატის მოგზაურობა.

- ხატი „საზოგადოება ივერიისა"-ს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა.

ხატი - „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“

- „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“-ს ხატის ასლის მოგზაურობა საქართველოს ეპარქიებში 13 ივლისს დაიწყო. მომლოცველებს თბილისსა და რეგიონებში ხატის მოგზაურობის პერიოდში შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ ქართველ მეცნიერთა ლექციებს.

ხატის მოგზაურობა - ფოთის ეპარქია

შეხვედრა მრევლთან

- ხატის მოგზაურობის დასრულების შემდეგ, სიწმინდე 19 ნოემბერს მახათას მთაზე ღვთისმშობლის ტაძარში დაბრძანდა.

სადღესასწაულო წირვა ღვთისმშობლის ტაძარში მახათას მთაზე

2023 წლის ძირითადი ხარჯი:

1. **<u>წიგნი - შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური</u>**

მახათას მთაზე ღვთისმშობლის სავანის პროექტის მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე სამეცნიერო- კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის მშენებლობას.

ახალი ცენტრის დაფინანსებისა და მშენებლობის დაწყების საკითხების საბოლოო გადაწყვეტამდე, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან შეთანხმებით, „საზოგადოება ივერიისა“ ჩაერთო ეროვნულ მუზეუმში განთავსებული ეროვნული საგანძურის დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. „საზოგადოება ივერიისა“ უზრუნველყოფს საგანძურის მოვლა-პატრონობისა და შენარჩუნების მნიშვნელობის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირებას მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო არხების მეშვეობით (შეხვედრები საჯარო სივრცეში, ორგანიზაციებთან და ინდივიდუალურ ჯგუფებთან). ასევე, სახსრების მოზიდვის საზოგადოებრივი კამპანიის მეშვეობით, ეროვნული საგანძურის დაცვისა და მოვლა- პატრონობისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაფინანსებაში მონაწილეობას.

ეროვნული საგანძურის მოვლა-პატრონობა, წარმოჩენა, სამეცნიერო კვლევა და საზოგადოებრივი განათლებისა და სხვა შესაძლო პლატფორმის მეშვეობით ეროვნული ფასეულობითი პროგრამების კომუნიკაცია, ის მიმართულებებია რაზეც მოხდება ჩვენი საზოგადოების საქმიანობის ფოკუსირება უახლოეს მომავალში.

ამ პროცესის ნაწილია ჩვენი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და მისი გააზრების მნიშვნელობის შესახებ „საზოგადოება ივერიისას“ მიერ დაწყებული ახალი საზოგადოებრივი კამპანია.

ამ მიზანს ემსახურება „საზოგადოება ივერიისას“ მხარდაჭერით დაბეჭდილი მნიშვნელოვანი ნაშრომი: „შუა საუკუნეების საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების საგანძური“ (შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში დაცული კოლექციები). ამ ნაშრომის ავტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ნანა ბურჭულაძე. წიგნი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლის იუბილეს.

პუბლიკაცია გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ ჩვენი ფასეულობები, რაც თანამედროვე რეალობაში რწმენისა და ცოდნის, რელიგიისა და მეცნიერების თანაშემოქმედებით მიიღწევა. ნაშრომი ყველასთვის ხელმისაწვდომია, მისი მობილური და ვებ ვერსიები შეგიძლიათ ნახოთ „საზოგადოება ივერიისას“ ვებ გვერდზე www.iveriisa.ge , ჩამოტვირთოთ და გაეცნოთ.

44,875.40 ლარი

2. **ხატი** „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“.

„საზოგადოება ივერიისას ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა ხატი „ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“.

28,800.00 ლარი

3. ხატის მოგზაურობა

„ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო“-ს ხატის ასლის მოგზაურობა საქართველოს ეპარქიებში 13 ივლისს დაიწყო. ღონისძიება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლისთავის საიუბილეო თარიღების აღსანიშნად გაიმართა. ხატის მოგზაურობის დასრულების შემდეგ, სიწმინდე 19 ნოემბერს მახათას მთაზე ღვთისმშობლის ტაძარში დაბრძანდა.

66,420.00 ლარი

4. გამწვანება

გამწვანდა ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის ეზო.

2,079.00 ლარი

5. გელათის რეაბილიტაცია

ცალკე მინდა გამოვყო გელათის რეაბილიტაციის გრძელვადიან პროცესში „საზოგადოება ივერიისას“ მონაწილეობა.

2023 წლის 6 აპრილს საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რითაც საქართველოს საპატრიარქო გახდა ხელმძღვანელი და მმართველი გელათის რეაბილიტაციისა.

ჩვენ ამ საქმეში ჩავერთეთ საქართველოს საპატრიარქოს თხოვნით. ჩვენი მიზანია საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია გელათის არსისა და მისი გააზრების მნიშვნელობის შესახებ, ასევე შევიმუშავოთ საგანმანათლებლო პროგრამები.

6. გელათის გენერალური გეგმა

ჩვენი საზოგადოება, ასევე, აფინანსებს ფრანგი არქიტექტორების მონაწილეობით დაწყებულ გელათის ახალ გენერალურ გეგმას, რომელმაც უნდა ასახოს მისი ძირითადი არსი და წარმოადგინოს მისი ფუნქციური განვითარების მიმართულებები.

გაფორმდა ხელშეკრულება „სტუდიო მილუსთან“, რომლის ფარგლებშიც მზადდება გელათის ახალი გენ. გეგმა და გელათის აკადემიის შენობის ინტერიერის განახლების პროექტი.

37,217.23 ლარი

7. <u>გელათის ვებ გვერდი</u>

გელათის რეაბილიტაციის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირების მიზნით, „საზოგადოება ივერიისა“-ს ფინანსური მხარდაჭერით, შეიქმნა გელათის რეაბილიტაციის კომიტეტის ვებ გვერდი: https://gelatirehabilitation.ge/ka

30,625.00 ლარი

8. <u>„სამაგიდო წიგნი - გელათი“</u>

„საზოგადოება ივერიისას“ ფინანსური მხარდაჭერით მზადდება „სამაგიდო წიგნი“ ე.წ. Handbook გელათზე, რომელიც საქართველოს და მართლმადიდებლური სამყაროს ამ ერთ- ერთი უმნიშვნელოვანესი სასულიერო კერისა და საგანმანათლებლო-კულტურული ცენტრის არსისა და მნიშვნელობის წარმოჩენას ისახავს მიზნად.

სამაგიდო წიგნი თავს მოუყრის და დაინტერესებულ მკითხველს სისტემატიზირებული სახით მიაწოდებს გელათის შესახებ XII-XIII საუკუნეებთან დაკავშირებულ მასალებს, მათ შორის - აქამდე უცნობ მონაცემებსაც.

15,900.00 ლარი